



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 53

29 06 2017 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
2017 წლის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 ივნისის სხდომის N11 ოქმის მე-3 საკითხის შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ.ვ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის და საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 25 ივნისის N27 ბრძანების გათვალისწინებით

1. დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 2017 წლის საშტატო ნუსხა (თან ერთვის).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის N117 განკარგულება.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ.მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა №4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირება და საშტატო ნუსხა				
№	რანგი	თანამდებობის დასახელება	შტატი	
1	პოლიტიკური თანამდებობის პირები/მთავარი საჯარო თანამდებობა	საკრებულოს თავმჯდომარე	1	
2		თავმჯდომარის მოადგილე	1	
3		კომისიის თავმჯდომარე	5	
4		ფრაქციის თავმჯდომარე	8	
საკრებულოს აპარატი				
4	პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/წამყვანი საჯარო თანამდებობა	აპარატის უფროსი	1	
საორგანიზაციო განყოფილება				
5	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	1	
6	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/უფროსი საჯარო თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	3	
7	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი/მთავარი სპეციალისტი უმცროსი საჯარო თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	1	
8	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი/უმცროსი საჯარო თანამდებობა	უფროსი სპეციალისტი	1	
იურიდიული განყოფილება				
9	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	1	
10	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი/უმცროსი საჯარო თანამდებობა	უფროსი სპეციალისტი	1	